ქ. თბილისი

საინჟინრო დასკვნა

ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, (ნაკვეთი 008/073) არსებული სამრეწველო შენობის შესახებ

თბილისი 2017 წ.

ორგანიზაცია: შ.პ.ს. "ჯი აი პი ენ"

ობიექტი:

ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, (ნაკვეთი 008/073) არსებული სამრეწველო შენობა

თბილისი 2017 წ.

საინჟინრო დასკვნა

არსებული შენობა მდებარეობს ქ. თბილისში ლისის ტბის მიმდებარედ (ნაკვეთი 008/073). შესწავლილ იქნა კომპლექსის შემადგენელი ორი ძირითადი შენობა – I შენობა-ნაგებობა და II შენობა-ნაგებობა. საინჟინრო დასკვნაში გათვალისწინებულია არსებული ანაზომის მონაცემები.

I შენობა ნაგებობის გაბარიტული ზომებია 145 x 72.4 მ. II ნაგებობის გაბარიტული ზომებია 54.2 x 18.5 მ. ორივე შენობა ერთსართულიანი სამრეწველო ნაგებობაა, მაგრამ დამატებით განხორციელებულის ჩაშენებები, რომლებიც ცალკეულ ფრაგმენტებში დამატებით სართულს ქმნის.

ორივე შენობის მზიდი ჩონჩხი აგებულია რკინა-ბეტონის ტიპიური ანაკრები კონსტრუქციებისაგან. გამოყენებულია სერია 1.463.1-3/87.4 -ის კონსტრუქციები.

I შენობა-ნაგებობა

საძირკვლები - ანაკრები წერტილოვანი, რკინა-ბეტონის მონოლითური საძირკვლის კოჭებით. არ შეიმჩნევა საძირკვლების დეფორმაციები. შეიძლება დავასკვნათ, რომ საძირკვლები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და დამატებით გაძლიერებას არ საჭიროებს.

შიდა სივრცეში მოწყობილია სარემონტო ორმოები (მათი განლაგება ანაზომზეა დატანილი). ახალი საპროექტო წინადადებით მოსალოდნელია რომ მოხდეს მათი შევსება. ჯდენები რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა ისინი შეივსოს კაჭარ-კენჭვარით, ან ღორღით. შევსება მოხდეს ფენა-ფენა ჩატკეპვნით. ასევე შესაძლებელია ორმოების სივრცე დარჩეს არსებულ მდგომარეობაში და ზევიდან გადაიფაროს რკინა-ბეტონის მონოლითური ფილით. ამ ორ ვარიანტს შორის არჩევანი შეიძლება გაკეთდეს ამ სამუშაოთა ღირებულებების შედარების შედეგად.

სვეტები

შენობის სვეტები არის ანაკრები რკინა-ბეტონის.

სვეტების მდგომარეობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. შეიმჩნევა რამდენიმე დაზიანებული სვეტი (ღერძები ე-11 და ე-13). მათ არ აქვთ საჭირო სიდიდის დამცავი შრე. ამის შედეგად არმატურის კოროზია ინტენსიურად მოხდა. საჭირო იქნება ამ სვეტების გაძლიერება.

რკინა-ბეტონის ანაკრები ფერმები

შენობაში გამოყენებულია რკინაბეტონის ანაკრები ფერმები. ფერმების მალი 18 მეტრია. ფერმები ტიპიურია. გამოყენებულია სერია კკკ -ს ორი ტიპის ფერმა უუუუ.



ანაკრები ფერმების მდგომარეობა ვიზუალური დათვალიერების მიხედვით დამაკმაყოფილებელია.

გადახურვის ფილები

გადახურვისთვის გამოყენებულია რკინა-ბეტონის ანაკრები წიბოვანი ფილები (სერია ოოოო). ფილების მალებია 6 მ. და 12 მ. როგორც ჩანს, გადახურვის ფენილზე არსებული საიზოლაციო მასალა დიდი ხანია ამორტიზებულია და ფაქტობრივად ვეღარ ასრულებს თავის ფუნქციას. წლების განმავლობაში მიმდინარეობდა წყლის ჩაჟონვა და შესაბამისი კოროზიული პროცესები. ფილებში აშკარად შეიმჩნევა ბზარები სადაც წყალი ქვედა ზედაპირამდე ჩაიჟონება. ესე იგი, ეს ბზარები გამჭოლია. ნახაზზე გამოვყავით ის ფილები სადაც ყველაზე უფრო ცუდი მდგომარეობაა.



საჭირო იქნება ამ ფილების ლაბორატორიული შესწავლა მხოლოდ შემდეგ იქნება შესაძლებელი განისაზღვროს მათი ექსპლუატაციის პირობები ან გაძლიერების მეთოდები.

საკედლე პანელები

საკედლე პანელებად გამოყენებულია ანაკრები რკინა-ბეტონის პანელები. (სერია კკკ)



პანელების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მათი შემდგომი ექსპლუატაცია შესაძლებელია.

ცალკეულ ფრაგმენტებში პანელებში არსებული ღიობების დაპატარავების მიზნით შესრულებულია ამოშენებები. ეს ამოშენებები არ შეესაბამება სტანდარტებს. შეიძლება ისინი მოიხსნას.

შიდა სივრცეში არსებული ჩაშენებები

შიდა სივრცეში არსებული ჩაშენებები შესრულებულია წვრილი საკედლე ბლოკებისგან. ცალკეულ ფრაგმენტებში გამოყენებულია აგურის წყობა. ეს მოცულობები გადახურულია ღრუტანიანი ანაკრები ფილებით.



ზოგიერთ ფრაგმენტში ფილები მოხსნილია. რადმენიმე ფრაგმენტში დანგრეულია საყრდენი კონსტრუქციები. ამის შედეგად ერთი პანელი ჩამოვარდნილია, ხოლო მეორე მწვავედ ავარიულ მდგომარეობაში იმყოფება. მას გამოცლილი აქვს საყრდენი და ნებისმიერ მომენტში შეიძლება ჩამოვარდეს. აუცილებელია სასწრაფო ღონისძიების განხორციელება, რათა თავიდან ავიცილოთ ავარიული შემთხვევა. ან ფილისთვის შეიქმნას დროებითი საყრდენი დგარის სახით, ან სასწრაფოდ მოდეს ამ ფილის დემონტაჟი.

საზოგადოდ ჩაშენებების შესრულებისს ხარისხი დაბალია და თუ ამ მოცულობების გამოყენება აუცილებელი არ არის, უმჯობესია მათი დემონტაჟის განხორციელება.

ლითონის კავშირები

ლითონის კავშირები მოწყობილია ფერმების სარტყელებში. ამ კავშირებიდან მხოლოდ ნაწილია შენარჩუნებული. დიდი ნაჭილი ჩაჭრილია. საპროექტო წინადადების განხორციელებისას საჭირო იქნება მათი აღდგენა (სათანადო პროექტის შესაბამისად).

II შენობა-ნაგებობა

საძირკვლები

საძირკვლები არის ანაკრები წერტილოვანი, რკინა-ბეტონის მონოლითური საძირკვლის კოჭებით. არ შეიმჩნევა საძირკვლების დეფორმაციები. შეიძლება დავასკვნათ, რომ წერტილოვანი საძირკვლები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და დამატებით გაძლიერებას არ საჭიროებს. დეფექტები შეიმჩნევა საძირკვლების შემაერთებელ კოჭებში. ზოგიერთ ფრაგმენტში ეს კოჭები უხეში დარღვევითაა გაკეთებული. მათში არმატურა საერთოდ არ ჩაუდიათ და ცარიელი ბეტონი მიწაზე დაუსხამთ. ამან გამოიწვია ამ კოჭების ჩანგრევა.



საჭირო იქნება ამ ფრაგმენტში კოჭების გაძლიერება.

შენობაში დამატებით მოწყობილია მცირე სიმაღლის იატაკქვეშა სივრცე. ამ სივრცის გადახურვას ქმნის ღრუტანიანი ფილები.



ეს სივრცე არასრული სახითაა შენარჩუნებული. თუ მიწისქვეშა კომუნიკაციებისთვის ეს სივრცე საჭირო იქნება, მისი აღდგენა შესაძლებელია.

სვეტები

შენობის სვეტები არის რკინა-ბეტონის ანაკრები.
სვეტების მდგომარეობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. საჭირო არ იქნება ამ სვეტების გაძლიერება.

გადახურვის ფილები

გადახურვისთვის გამოყენებულია რკინა-ბეტონის ანაკრები წიბოვანი ფილები (სერია ოოოო). ფილების მალებია 6 მ და 12 მ. როგორც ჩანს გადახურვის ფენილზე არსებული საიზოლაციო მასალა დიდი ხანია ამორტიზებულია და ფაქტობრივად ვეღარ ასრულებს თავის ფუნქციას. წლების განმავლობაში მიმდინარეობდა წყლის ჩაჭონვა და შესაბამისი კოროზიული პროცესები. ფილებში აშკარად შეიმჩნევა ბზარები სადაც წყალი ქვედა ზედაპირამდე ჩაიჭონება. ესე იგი, ეს ბზარები გამჭოლია. ნახაზზე გამოვყავით ის ფილები სადაც ყველაზე უფრო ცუდი მდგომარეობაა.

საჭირო იქნება ამ ფილების ლაბორატორიული შესწავლა. მხოლოდ შემდეგ იქნება შესაძლებელი განისაზღვროს მათი ექსპლუატაციის პირობები ან გაძლიერების მეთოდები.

შ.პ.ს. "ჯი აი პი ენ"-ის დირექტორი:

ოთარ ქვრივიშვილი




21.02.2017

დანართი 1

გეგმა +3.97 ნიშნულზე


მ 1:500




შპს „ჯი აი პი ენ“			ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ (ნაკვეთი 008/073) არსებული შენობა-ნაგებობა	
			დანართი 1	მუშა პრ.
მთ.კონსტ.	ო.ქვრივიშვილი		I შენობა-ნაგებობის დაზიანებული კონსტრუქციების განლაგების სქემა	დაკვ
შეასრულა	ლ.ჭკუასელი			ფურც. № 1
შეამოწმა	ო.ქვრივიშვილი		მასშტაბი 1:	ინვ. № ფურცლები

დანართი 3
I შენობა-ნაგებობა

გეგმა +3.97 ნიშნულზე
მ 1:500




შპს „ჯი აი პი ენ“			ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ (ნაკვეთი 008/073) არსებული შენობა-ნაგებობა		
			დანართი 3		მუშა არ.
მთ.კონსტ.	ო.ქვრივიშვილი		I შენობა-ნაგებობის შესასწავლი კონსტრუქციების განლაგების სქემა		დაკვ
შეასრულა	ლ.ჭკუასელი				ფურც. № 3
შეამოწმა	ო.ქვრივიშვილი		მასშტაბი 1:	ინვ. №	ფურცლები


54.160
5.650
6.000
6.000
6.000
6.000
6.000
6.000
6.000
5.710
0.830
4.500
1.470
4.500
1.500
4.500
1.500
4.500
1.500
4.500
1.500
4.500
1.500
4.500
1.560
4.500
0.800
1.360
4.000
1.770
4.000
6.000
18.480
7.350
6.000
5.840
ხაძირკვლის კიბე
ლიანდაგის ღერძი
ლიანდაგის ღერძიდან 1.435 მ-ით დაშორებული

დანართი 4. II შენობა-ნაგებობის შესასვლელი კონსტრუქციების განლაგების სქემა

მასშტაბი 1:200



შ.პ.ს. „ჯი აი პი ენ“			ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ (ნაკვეთი 008/073) არსებული შენობა-ნაგებობა		
			დანართი 4		მუშა პრ.
მთ.კონსტ.	ო.ქვრივიშვილი		II შენობა-ნაგებობის შესასვლელი კონსტრუქციების განლაგების სქემა		დაკვ
შეასრულა	ლ.ჭკუასელი				ფურც. № 4
შეამოწმა	ო.ქვრივიშვილი		მასშტაბი 1:	ინვ. №	ფურცლები